დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 1082606047**

თარიღი:**01/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2027 - 2028 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფს, საბიუჯეტო კალენდრით (დანართი 2) გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვის მიზნით, შეიკრიბოს პერიოდულად, არაუგვიანეს ყოველი კალენდარულის თვის 15 რიცხვისა.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

5. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, ამ ბრძანების გაცნობა, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქუჩა N113).

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი